სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის

სამოქმედო გეგმა

დამტკიცებული: სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს
2022 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით

სარჩევი

შესავალი 3

სიტუაციური ანალიზი 3

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში გატარებული ღონისძიებები.....4

ხედვა/მიზნები და ამოცანები.....5

მონიტორინგი და ანგარიშგება.....8

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოედგენს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმას 2022 წლისათვის.

დოკუმენტის შემუშავების მიზანია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების ეფექტიანი დაცვის შელშეწყობა.

წინამდებარე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება დაწყებულია, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხდა მათი სრულყოფა 2021 წელს.

სიტუაციური ანალიზი

სამოქმედო გეგმის შედგენა, ერთი მხრივ, დაეყრდნო ისეთ საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტებს, როგორიცაა გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნულ კანონმდებლობას, როგორიცაა საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს კანონი „შეზუღუდლი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი („თანასწორობის უფლება“) ითვალისწინებს კონკრეტულ ვალდებულებას სახელმწიფოს მიმართ შშმ პირთა უფლებების დაცვის გაუმჯობესებისათვის. კერძოდ, „სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.“

გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისა და პრინციპების ეროვნულ კანონმდებლობაში უკეთ ასახვის მიზნით, 2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“. კანონი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შშმ პირთა უფლებრივ გარანტიებს ეროვნულ დონეზე. აღნიშნული კანონის მიზანია, შშმ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება, მათი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად საკანონმდებლო გარანტიების შექმნა და საქართველოს კანონმდებლობაში „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციის ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების ასახვა.

აღნიშნული მიზნისათვის, კანონი აწესებს სახელმწიფო, ადმინისტრაციული ორგანოებისა და კერძო სამართლის სუბიექტების მიმართ გარკვეულ ვალდებულებებს.

შესაბამისად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანსაც წარმოადგენს ხარისხიანი და სანდო მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრების ხელშეწყობა, ქმედითი ნაბიჯების გადადგმით კისრულობს პოზიტიურ ვალდებულებას წვლილი შეიტანოს შშმ პირების უფლებრივი მდგომარეობის, მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხსის გაუმჯობესებაში და ამასთან, ხელი შეუწყოს სამართალწარმოების განხორციელების პროცესში შშმ პირების ხელშეწყობას.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში გატარებული ღონისძიებები

I. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში გატარებული ღონისძიებები, რომლებიც შშმ პირთა უფლებების დაცვას, სერვისებზე მისაწვდომობის გაუმჯობესებას და შშმ პირებისთვის უკეთესი გარემოს შექმნას ისახავდა მიზნად წარმოადგენს 2 წლიანი უფასო იურიდიული დახმარების (პრო ბონო) პროექტი, რომლის განხორციელებაც ასოციაციამ 2018 წლიდან დაიწყო „ღია საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერით.

განხორციელებული პროექტი[1] მიზნად ისახავდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და პალიატიური მზრუნველობის საჭიროების მქონე პაციენტებისთვის უფასო იურიდიული მომსახურების გაწევას.

- **პროექტის ფარგლებში ადვოკატის მიერ განსახორციელებელი საქმიანობის აღწერა:**

- შშმ პირებისთვის და პალიატიური მზრუნველობის საჭიროების მქონე პაციენტებისთვის იურიდიული კონსულტაციების გაწევა;
- სასამართლო დავებზე შშმ პირების და პალიატიური მზრუნველობის ქვეშ მყოფი პაციენტების ინტერესების დაცვა;
- სხვა იურიდიული ხასიათის მოქმედებები შშმ პირების და პალიატიური მზრუნველობის ქვეშ მყოფი პაციენტების უფლებების დასაცავად.

[1] https://bit.ly/379EHVV

II. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ, კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამასთან (USAID-PROLoG) თანამშრომლობის ფარგლებში, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის პორტალში განხორციელდა ცვლილება. კერძოდ, არსებულ პორტალს დაემატა და დაინერგა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის (უსინათლო და მცირე მხედველობის მქონე) ადაპტირებული ვერსია. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა განახლებული პორტალის საშუალებით პირველად 2019 წლის გაზაფხულზე ჩატარდა, აღნიშნული ფუნქციონალით უკვე ისარგებლა ორმა აპლიკანტმა.

ხედვა, მიზნები და ამოცანები

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ხედვას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვის მიმართულებით ეფექტიანად დაგეგმილი სისტემური პროცესების და საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგებული პოლიტიკის დანერგვა, მათ შორის საკვანძო საკითხს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა პროცესში ჩართულობა.

აღნიშნული ხედვის განსახორიელებლად, სამოქმედო გეგმის ფარგლებში გამოვლინდა 3 მიზანი, 3 ამოცანა და 6 აქტივობა.

ლოგიკურ ჩარჩოში მოცემული აქტივობები გაწერილია 2022 წელზე. მომდევნო წლებში მოხდება წინამდებარე დოკუმენტის გადახედვა და განახლება.

ლოგიკური ჩარჩო

მიზანი 1.	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ეფექტიანი ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე, მათთვის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული დაცვის უფლებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე დროული და ეფექტიანი ადვოკატირების განხორციელება.
ამოცანა 1.1.	სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა (ადვოკატები) ცოდნის გაღრმავება.
აქტივობა 1.1. 1	შშმ პირთა უფლებების შესახებ სატრენინგო მოდულის შემუშავება.
აქტივობა 1.1.2	შშმ პირთა უფლებების შესახებ სატრენინგო მოდულის შესაბამისად, ტრენერთა ტრენინგის ჩატარება.
აქტივობა 1.1.3.	საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ, ადვოკატთა განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ,
აქტივობის შედეგის ინდიკატორი	
ა) შექმნილია შშმ პირთა უფლებების შესახებ სატრენინგო მოდული. **ბ) გადამზადებულია მინიმუმ 100 ადვოკატი.**	**დაფინანსების წყარო:** სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ბიუჯეტი და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა.

მიზანი 2.	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ განხორციელებული აქტივობების დაუბრკოლებელი მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდა.
ამოცანა 2.1.	სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებ გვერდის (www.gba.ge) ადაპტირება მცირემხედველი და უსინათლო პირებისათვის.
აქტივობა 2.1.1	ასოციაციის ვებ გვერდის ადაპტირებული ვერსიის არსებობისათვის ვებ გვერდის „გახმოვანება“ სპეციალური სოფტის მეშვეობით.
აქტივობის შედეგის ინდიკატორი	
ა) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებ გვერდი ადაპტირეულია/გახმოვანებულია.	**დაფინანსების წყარო:**

	სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ბიუჯეტი და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა.

მიზანი 3.	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მშენებარე შენობა-ნაგებობის (ახალი ოფისი) ადაპტირება.
ამოცანა 3.1.	საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მშენებარე ოფისის უნივერსალური დიზაინის დანერგვა და აღნიშნულის გათვალისწინება მშენებლობისა და პროექტირებისას.
აქტივობა 3.1.1	შემუშავებული უნივერსალური დიზაინის შესაბამისად, ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დაწესებულების სრული მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.
აქტივობა 3.1.2.	სპეციალური აღმნიშვნელი ნიშნების მოწყობა, რაც მარტივს გახდის შშმ პირთა ნავიგაციას ახალ შენობაში.
აქტივობის შედეგის ინდიკატორი	
ა) ასოციაციის ახალი ოფისის გარე პერიმეტრზე დაპროექტებული და აშენებულია პანდუსი ეტლით მოსარგებლეებისთვის, რომელიც შიდა სივრცეს ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომს ხდის, მთავარ დარბაზში ეტლით გადაადგილება თავისუფლადაა შესაძლებელი.	**დაფინანსების წყარო:** სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ბიუჯეტი და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა

მონიტორინგი და ანგარიშგება

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ, წინამდებარე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების, ამოცანებისა და აქტივობების განხორციელებაზე მონიტორინგსა და კონტროლს ახორციელებს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო პერიოდული ანგარიშების მიღებითა და უშუალოდ განსახორციელებელი აქტივობების დაკვირვება/დათვალიერება/მონიტორნიგის გზით.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის აღსრულების შესახებ ინფორმაცია აისახება საქართველოს მთავრობის ყოველწლიურ ანგარიშში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ, რომელსაც საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებათა უწყებათშორისი საბჭოს გავლით, წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.